

ჯანდაცვის სასწავლო პროგრამების ბაზრის მარკეტინგული ანალიზი: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის

ნინო კაპანაძე , ქეთევან ომანაძე / Nino Kapanadze, Kethevan Omaradze

1. ჯანდაცვის სასწავლო პროგრამების შექმნის ისტორია

1.1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

930 წლის სექტემბრიდან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დაარსების პირველივე დღიდან, მის შემადგენლობაში შემავალ სამ ფაკულტეტს შორის ერთ-ერთს წარმოადგენდა სანიტარიულ-პროფილაქტიკური ფაკულტეტი სამი პროფილით - ეპიდემიოლოგიური, კომუნალური ჰიგიენისა და კვების ჰიგიენის. 1970 წლიდან ფაკულტეტზე დაინერგა სუბორდინატურა, ხოლო 1971 წლიდან – ინტერნატურა ერთწლიანი სპეციალიზაციის სახით.

1998 წლისთვის პროფილაქტიკური მედიცინის ფაკულტეტი აერთიანებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 11 კათედრას: პრევენციული მედიცინისას კვების ჰიგიენისა და ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის კურსებით, კომინალური და რადიაციული ჰიგიენის, შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა, ეპიდემიოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის, სპორტული მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის, ბიოლოგიის, მიკრობიოლოგიის, ჰემატოლოგიის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და მედიცინის ისტორიის კათედრებს.

ამ დროისთვის ფაკულტეტმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა ახალი სასწავლო გეგმისა და სტანდარტების შემუშავებისათვის. სახელდობრ, განისაზღვრა აუცილებელ პროფილურ და ელექტიურ დისციპლინათა ნუსხა, მათი მოცულობა, საწარმოო პრაქტიკის ჩატარების წესი; შედგა ახალი სასწავლო პროგრამები, დადგინდა რეზიდენტურის სპეციფიკა, მუშაობის შინაარსი, მოცულობა, პროგრამები.

2000 წლიდან ფაკულტეტზე, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, განხორციელდა რეორგანიზაცია (მათ შორის: განახლდა სასწავლო გეგმა-პროგრამა, უმაღლეს სამედიცინო განათლებაში რეზიდენტურის შემოღების გათვალისწინებით სწავლების ექვსწლიანი მოდელი შეიცვალა ხუთწლიანით და სხვ.) და 2002 წელს ეწოდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი.

2007 წლიდან "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა ფაკულტეტზე განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სახით განისაზღვრა ბაკალავრიატი, რითაც შეიქმნა სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლების შესაძლებლობა.

1.2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2008 წლიდან ფუნქციონირებს სამაგისტრო პროგრამა „ჯანდაცვის სფეროს მენეჯმენტი“ ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაში. 2011 წლიდან შეიქმნა განახლებული სამაგისტრო და ახალი სადოქტორო პროგრამა „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“, რომელიც აერთიანებს 4 კონცენტრაციას: საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის პოლიტიკა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, ფარმაციის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანდაცვის ეკონომიკა. 2012 წლიდან პროგრამა „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ შეუერთდა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს. ილიას უნივერსიტეტში ხორციელდება მხოლოდ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

მიუხედავად იმისა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯანდაცვის მიმართულებით პროგრამა რამოდენიმე წელია რაც არსებობს, იგი კონკურენციას უწევს სხვა უნივერსიტეტებს. ამაზე მეტყველების ის გარემოება, რომ თსსუ-ს ბაკალავრიატ დამთავრებულ სტუდენტთა უმრავლესობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას მაგისტრატურაში.

1. 2. სტატისტიკური მონაცემების შედარებითი დახასიათება

როგორც სტატისტიკური ინფორმაციიდან ჩანს, სამაგისტრო პროგრამის თვალსაზრისით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს შესაბამის ბაზარზე. კერძოდ, 2012 წლის მონაცემებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა რაოდენობა 300 %-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. თუმცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაკალავრიატზეც დიდია ბაზარზე მოთხოვნა.

ცხრილი: სტატისტიკა წლების მიხედვით:


	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში
	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
2005 წ.	30		
2006 წ.	75		
2010 წ.	150	14	10
2011 წ.	150	30	14
2012 წ.	150	30	51


წყარო: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, <http://tsmu.edu/tsmu12/tsmu/tsmuuni/index.php?p=fakul>;
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1


ურთიერთობები: თსსუ-ს მჭიდრო ურთიერთობა აქვს უნიმენის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი) და გაიცემა 2 დიპლომი: ქართული და ფრანგული.


სწავლის ღირებულება: ორივე უნივერსიტეტში სწავლის ღირებულებაა 2250 ლარი. იქედან გამომდინარე, რომ სახელმწიფო დაფინანსება მხოლოდ 100%-იანია, სამედიცინო უნივერსიტეტში მხოლოდ სტუდენტთა 2 % ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო ილიას უნივერსიტეტში 51-დან 12 სტუდენტი ჩარიცხულია გრანტით.

განვითარება: თსსუ-ში მუშავდება ახალი სამაგისტრო პროგრამები როგორცაა : სამედიცინო ეკოლოგია, კვების მედიცინა და კვების უვნებლობა, ჯანდაცვის სამართალი, ჯანმრთელობის ხელშეწყობა.

	თსსუ - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი	ილიაუნი - სამაგისტრო პროგრამა „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“
	<ol style="list-style-type: none"> 1. მაღალი ცნობადობა 2. დიდი ხანია უკვე ბაზარზე 3. ურთიერთობა უცხო მხარესთან 4. იქმნება ახალი სამაგისტრო პროგრამები 5. კონკურენტუნარიანი 	<ol style="list-style-type: none"> 1. სტუდენტთა დიდი ნაწილი ჩარიცხულია სახელმწიფო გრანტით 2. მაღალკვალიფიციური კადრები 3. კონკურენტუნარიანი 4. მულტიდისციპლინური პროგრამა 5. ორიენტაცია კვლევასა და კვლევითი საშუალებებით სწავლებაზე

	<ol style="list-style-type: none"> 1. სტუდენტთა უმეტესობას არ აქვს გრანტი 2. საგნების უმეტესობა იკითხება ერთი ლექტორის მიერ, რაც ნაკლებად იწვევს სტუდენტთა კმაყოფილებას 3. პიარის ნაკლებობა 	<ol style="list-style-type: none"> 1. ნაკლები ცნობადობა (რადგან პროგრამა ახალი შექმნილია) 2. გარკვეული ინფორმაციის მოპოვებაზე უნივერსიტეტის შესახებ პრობლემებია. 3. პიარის ნაკლებობა
--	--	--

	<ol style="list-style-type: none"> 1. უცხოელი სტუენტების მოზიდვის შესაძლებლობა 2. თითოეულ საგანს წაიკითხავს ინდივიდუალური ლექტორი 3. კადრების გაუმჯობესება 	<ol style="list-style-type: none"> 1. ბაკალავრიატის შექმნა 2. ახალი სამაგისტო პროგრამების შექმნა 3. უცხო მხარესთან ურთიერთობა და გაცვლითი პროგრამების შექმნა
---	---	---

	<ol style="list-style-type: none"> 1. კონკურენცია 2. ბაზარზე ახალი უნივერსიტეტების გამოჩენა 	<ol style="list-style-type: none"> 1. კონკურენცია 2. ბაზარზე ახალი უნივერსიტეტების გამოჩენა
--	---	---

1. 1.4P შეფასება

<p>product</p> <p>თსსუ-ს და ილიაუნი-ს ჯანდაცვის ფაკულტეტი</p>	<p>Price</p> <p>2250 ლარი წლიური</p>
<p>promotion</p> <p>თსსუ-ს აქვს ურთიერთობა საფრანგეთის უნივერსიტეტთან</p>	<p>place</p> <p>თსსუ- საბურთალო, ვაჟა- ფშაველას 29. ილიაუნი- ვაკე, ჩოლოყაშვილ ის გამზირი 3/5</p>


Product: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“. თსსუ-ში გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სწავლის ხარისხი არის მაღალი და კმაყოფილები არიან უნივერსიტეტში არსებული სიტუაციით. ილიაუნის გამოკითხულ სტუდენტთა 60% კმაყოფილია, 40%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან.

Price: სწავლის წლიური საფასური არის ორივე უნივერსიტეტში 2250 ლარია, სახელმწიფო დაფინანსებით თსსუ-ში სარგებლობს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 2%, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამისი პროგრამით ჩარიცხული სტუდენტებიდან 12 სტუდენტი.

Promotion: თსსუს მჭიდრო ურთიერთობა აქვს უნიმენის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი), გაიცემა 2 დიპლომი: ქართული და ფრანგული.

place: თსსუ მდებარეობს საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას 29. ხოლო ილიაუნი - ვაკე, ჩოლოყაშვილის 3/5. ორივე უნივერსიტეტი ქალაქის ცენტრშია და ტრანსპორტირების მხრივ საკმაოდ ხელსაყრელია.

1. 1. პროდუქტის ატრიბუტების შედარება:



ფუნქციური პროდუქტი: ორივე უნივერსიტეტის სტუდენტს აძლევს შრომით ბაზარზე ევალიფიციურის ამ უშაო ადგილის მიღების ადამიანური რულიზრდის შესაძლებლობას.

აქტიური პროდუქტი: (ადგილი, ფასი, პრომოცია) ორივე უნივერსიტეტი მდებარეობს ქალაქის ცენტრში, ტრანსპორტირების მხრივ პრობლემებისაკლებად მდებარეობს. სწავლის წლიური საფასური 2250 ლარია. თსსუ-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი მჭიდროდ ურთიერთობა აქვს უნიმენის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი).

მოსალოდნელი პროდუქტი: თსსუ-ს გამოკითხვის სტუდენტები დადებითად ფასებენ სწავლის ხარისხს, და თვლიან რომ მათი მიმდებარეობა მართლდება. ილია უნივერსიტეტის გამოკითხვის სტუდენტთა 60% დადებითად ფასებენ სწავლის ხარისხს, ხოლო 40% თავს იკავებენ პასუხისგან.

პერსპექტიული პროდუქტი: თსსუ-ში იქმნება ახალისამაგისტრო პროგრამები როგორცაა: ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანდაცვის სამართალი, კვების მედიცინა და კვების უვნებლობა. ახალისამაგისტრო პროგრამების შექმნა ბოლო წლებში ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება.

Augmented

product: თსსუ-ს თუ ვაგით ვალისწინებთ ბოლო 5 წლის მანძილზე სტუდენტთა რაოდენობის ზრდას შეიძლება ითქვას, რომ მზარდი პროდუქტია ბაზარზე. ილია უნი-ს ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა ცსკამო დმოთხოვნადია ბაზარზე და შეიძლება ითქვას სტუდენტთა რაოდენობით უსწრებს თსსუ-ს.

BCG მატრიცა:



ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი წლების განმავლობაში წარმოადგენდა „ფულის ძროხას“, რადგან ბაზარი თითქმის უცვლელი იყო (მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელია რაც ბაზარმა დაიწყო ზრდა). დღეისათვის იგი თანდათან კარგავს თავის წილს შესაბამის ბაზარზე, რადგან გამოჩნდნენ სხვა უნივერსიტეტები რომელნიც წლიდან-წლამდე იმაგრებენ თავიანთ პოზიციას. ილიაუნის სამაგისტრო პროგრამა „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“ რამდენიმე წელია რაც არსებობს (ბაკალავრიატი არ აქვს), ხოლო მასზე მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იზრდება. ჩვენი აზრით, (თუ რა თქმა უნდა ასე გაგრძელდა) მისი პოზიცია ბაზარზე მალე გახდება „ფულის ძროხა“ - რადგან აქვს ნელა მზარდი ბაზარი, ხოლო ბაზარზე მზარდი წილი კონკურენტუნარიანია და შეუძლია დიდი თანხების მოზიდვა.

დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ ორივე უნივერსიტეტის ჯანდაცვის მიმართულებებს საკმაოდ კარგი პოზიციები უკავიათ ბაზარზე. თუმცა, სტატისტიკის მიხედვით, სამედიცინო უნივერსიტეტზე ბოლო წლებში მოთხოვნა კლებულობს, რაც სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული. ჩვენი აზრით, ძირითადი მიზეზია პიარის და ლექტორთა ნაკლებობა. რაც შეეხება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, საკმაოდ მზარდი მოთხოვნით და პერსპექტიულობით ხასიათდება. თუმცა, რეკომენდაციის სახით ვურჩევდით ჯანდაცვის მიმართულებით ბაკალავრიატის და სხვა ახალი პროგრამების დამატებას.

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი <http://tsmu.edu/tsmu12/tsmu/tsmuuni/index.php?p=fakul>.
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1
3. <http://www.netmba.com/strategy/matrix/bcg/>